

საგადასახადო სიასლები

იანვარი 2023



მერაბ ალექსიძის ქ. N12
KING DAVID-ის ბიზნეს ცენტრი
+995 322242559





შემოსავლების სამსახურის სიტუაციური სახელმძღვანელოები

2022 წლის 1-ელი იანვრიდან ამოქმედდა მეწარმეთა შესახებ ახალი კანონი, შედეგად ცვლილება შევიდა საგადასახადო კოდექსშიც რამაც გამოიწვია ბუნდოვანება. კერძოდ, საწარმოს რომელმაც წესდება მოიყვანა ახალი კანონთან შესაბამისობაში, თითქოს შეეზღუდა კაპიტალის შემცირება მოგების გადასახადით დაბეგვრის გარეშე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიაში განხორციელებული შენატანი არ

არ ჰქონდა რეგისტრირებული რეესტრში როგორც „განთავსებული კაპიტალი“. საგადასახადო რისკი არსებობდა იმ შემთხვევაში თუ არ მოხდებოდა შენატანის რეგისტრირება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში, გაჩნდა მოსაზრება, ხომ არ მოხდებოდა კაპიტალის შემცირების დაკვალიფიცირება დივიდენდად ან სხვა დასაბეგრ განაცემად.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ბიზნეს სექტორის და შემოსავლების სამსახურის აქტიური თანამშრომლობით, რომელში მონაწილეობდნენ ჩვენი ექსპერტებიც, შემოსავლების სამსახურმა დაამტკიცა სიტუაციური სახელმძღვანელო – კაპიტალის შემცირება (N 2549) და განმარტა, რომ საწარმოს კაპიტალში აქტივის/ქონების შეტანად განიხილება აქტივზე საკუთრების უფლების გადაცემა, რომელიც განხორციელებულია კაპიტალში წილის შეძენის ან მისი ღირებულების გაზრდის მიზნით და აღრიცხულია საწარმოს ბალანსზე. განხორციელებული შენატანის ფარგლებში საწარმოს კაპიტალის შემცირება და თანხის გაცემა პარტნიორზე არ განიხილება მოგების განაწილებად.

აღნიშნულიდან გამომდინარე საწარმოს შეუძლია შენატანის განხორციელება არ დაარეგისტრიროს მარეგისტრირებელ ორგანოში და კაპიტალის შემცირების დროსაც აღნიშნული არ იქნება დამაბრკოლებელი გარემოება.

მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია რომ ასე შემთხვევაში არ უნდა იკვეთებოდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის მე-9 ნაწილის საფუძველზე ოპერაციისათვის კვალიფიკაციის შეცვლის საფუძვლები.



სიტუაციური სახელმძღვანელო – 2549

კაპიტალის შემცირება

ფაქტობრივი გარემოებები:

- 100% წილის მფლობელმა საწარმო A-მ კაპიტალში შენატანის განხორციელების მიზნით მის მიერ დაფუძნებულ საქართველოს საწარმოს (შპს B) 2021 წლის ივნისში გადასცა 10000 ლარი, ხოლო 2022 წლის მარტში გადასცა 20000 ლარი. B-ს კაპიტალის გაზრდასთან დაკავშირებით შედგენილია პარტნიორის გადაწყვეტილებები და შენატანი შპს B-ს ბალანსზე ასახულია საკუთარ კაპიტალში. B-ს კაპიტალის გაზრდა არ არის რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში.
- 2022 წლის აგვისტოში საწარმომ შეამცირა B-ს კაპიტალი 25000 ლარით. კაპიტალის შემცირების თაობაზე შედგენილია პარტნიორის გადაწყვეტილება და ასახულია B-ს ბალანსში. კაპიტალის შემცირება არ არის რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში.
- B-მ პარტნიორზე თანხის გადაცემა განიხილა კაპიტალის შემცირების შედეგად განხორციელებულ განაცემად და არ დაბეგრა მოგების გადასახადით.

შეფასება:

• საგადასახადო კოდექსის:

981 .1 მუხლის მიხედვით, განაწილებული მოგება არის მოგება, რომელიც საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით, ფულადი ან არაფულადი ფორმით ნაწილდება.

8.12 მუხლის თანახმად, დივიდენდი არის აქციონერის/მოწილის მიერ აქციებიდან ან უფლებებიდან (წილებიდან) მიღებული (მათ შორის, პრივილეგირებული აქციებიდან პროცენტის სახით მიღებული) ნებისმიერი შემოსავალი, რომელიც მიიღება მოგების განაწილების შედეგად და რომელსაც იურიდიული პირი უნაწილებს აქციონერებს/მოწილეებს, კაპიტალში მათი კუთვნილი აქციების/უფლებების პროპორციულად ან პროპორციის დაცვის გარეშე.

• საწარმოს კაპიტალში აქტივის/ქონების შეტანად განიხილება აქტივზე საკუთრების უფლების გადაცემა, რომელიც განხორციელებულია კაპიტალში წილის შექმნის ან მისი ღირებულების გაზრდის მიზნით და აღრიცხულია საწარმოს ბალანსზე. განხორციელებული შენატანის ფარგლებში საწარმოს კაპიტალის შემცირება და თანხის გაცემა პარტნიორზე არ განიხილება მოგების განაწილებად.

ღონისძიებები

• პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და მის მიმართ დამატებითი საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ ხდება.

სიტუაციური სახელმძღვანელო – N2550 კაპიტალის გაზრდა

ფაქტობრივი გარემოებები

· 100% წილის მფლობელმა დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებულმა ინდ. მეწარმე A-მ მის მიერ 2021 წელს დაფუძნებული საწარმოს (შპს B-ს) კაპიტალში შენატანის განხორციელების მიზნით 2022 წლის მარტში საკუთრებაში გადასცა 120 000 ლარის ღირებულების კომერციული დანიშნულების უძრავი ქონება, რომელიც B-ს სახელზე დარეგისტრირდა უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში. B-ს კაპიტალის გაზრდასთან დაკავშირებით A-ს მიერ მიღებულია პარტნიორის გადაწყვეტილება და შენატანი B-ს ბალანსზე ასახულია კაპიტალში. B-ს კაპიტალის გაზრდა არ არის რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში.

· A-მ უძრავი ქონების B-სათვის გადაცემა არ განიხილა საქონლის მიწოდებად დღგ-ის მიზნებისათვის და ოპერაცია არ დაბეგრა დღგ-ით.

შეფასება

· სსკ-ის 160-ე მუხლის მე-7 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, საქონლის მიწოდებად არ განიხილება საწარმოს კაპიტალში ან ამხანაგობაში აქტივის შეტანა. გადასახადების ადმინისტრირების შესახებ საქართველოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 31.12.2010 წლის N:996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 50 პრიმა 2 – 50 პრიმა 4 მუხლების შესაბამისად, – საქონლის მიწოდებად ან/და მომსახურების გაწევად არ განიხილება საწარმოს კაპიტალში ან ამხანაგობაში აქტივის შეტანა. –ამ ინსტრუქციის 50 პრიმა 1 – 50 პრიმა 3 მუხლების მიზნებისათვის, პირი, რომელმაც აქტივი მიიღო, განიხილება ამ აქტივის მიმწოდებლის უფლებამონაცვლედ.

· A-ს მიერ უძრავი ქონების შეტანა B-ს კაპიტალში არ განიხილება დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციად. ამასთან, აქტივის მიმღები გადასახადებით დაბეგვრის მიზნებისთვის განიხილება აქტივის მიმწოდებლის უფლებამონაცვლედ.

ღონისძიებები

· პირის (A-ს) ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და მის მიმართ დამატებითი საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ ხდება.

შეჯამება

წარმოდგენილი სიტუაციური სახელმძღვანელოებიდან გამომდინარე, საწარმოს დამფუძნებელს შეუძლია, საკუთარი სურვილის შესაბამისად კაპიტალი ზრდა/შემცირება დაარეგისტრიროს ან არ დაარეგისტრიროს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში და ეს არ დააბრკოლებს კაპიტალის შემცირების გზით საწარმოდან თანხის გატანას.

სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2022 წლის 1 იანვრიდან მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით და მოქმედებს, როგორც 2022 წლის 1 იანვრამდე, ასევე 2022 წლის 1 იანვრის შემდეგ დაფუძნებულ სამეწარმეო საზოგადოებების მიმართ.

**ვუბლიკაციაში წარმოდგენილი საკითხები არის
მხოლოდ ინფორმაციული ხასიათის და გამიზნულია
ზოგადი მიმოხილვისათვის.**

**არ არის რეკომენდირებული აღნიშნულ ვუბლიკაციაზე
დაყრდნობით გადაწყვეტილებების მიღება ჩვენ წარმომადგენელთან
კონსულტაციის გარეშე**



**ჩვენი საგადასახადო სპეციალისტები მუდამ მზად არიან
განგიმარტონ და მოგაწოდონ დამატებითი ინფორმაცია
ზემოთ მოცემულ ცვლილებებზე**

გელა მღებრიშვილი

მმართველი პარტნიორი

TEL: +995 595 333 853

E-MAIL: gela.mghebrishvili@nexia.ge

დავით მამრიკიშვილი

მმართველი პარტნიორი / საგადასახადო

მიმართულებების დირექტორი

TEL: +995 591 505 009

E-MAIL: david.mamrikishvili@nexia.ge